

## ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №-----2016

ქ. თბილისი

----- 2016 წელი

ერთი მხრივ, ----- (ს/კ: -----) (შემდგომში \_ „შემსრულებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- მიერ და მეორე მხრივ, ა(ა)იპ „საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი“, (ს/კ: 211325653) (შემდგომში \_ „შემსყიდველი“), \_ წარმოდგენილი მისი რექტორის ვახტანგ ლეჟავას მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, წინამდებარე ხელშეკრულებით ვთანხმდებით შემდეგზე:

### მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

„შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, შეასრულოს „შემსყიდველის“ დავალებით წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული სამუშაო და ჩააბაროს შესრულებული სამუშაო „შემსყიდველს“, ხოლო „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას მიიღოს შესრულებული სამუშაო და გადაიხადოს ხელშეკრულებით შეთანხმებული საზღაური.

### მუხლი 2. შესასრულებელი სამუშაო და სამუშაოს მიღება-ჩაბარება

2.1. „შემსყიდველი“ უკვეთავს, ხოლო „შემსრულებელი“ ასრულებს

ქ.თბილისში, დ.აღმაშენებლის ხეივანი #240, N 01.72.14.006.768 საკადასტრო კოდზე მდებარე:

- ა) ღვინის ტრადიციული მარნის შენობის სარემონტო სამუშაოების და გარე საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობის სამუშაოებს;
- ბ) ღვინის ტრადიციულ მარანსა და მევენახეობა-მელვინეობის აკადემიას შორის მდებარე ტერიტორიის გეგმარების და მოწყობის სამუშაოებს.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები სრულდება შემსრულებლის მასალით.

2.3. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოს დასრულების შესახებ „შემსრულებელი“ ვალდებულია შეატყობინოს „შემსყიდველს“, რის თაობაზეც მხარეები შეადგენენ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს და დაამოწმებენ მას ხელმოწერით.

2.4. სამუშაო ითვლება შესრულებულად სამუშაოს შესრულების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტზე „შემსყიდველის“ ან მისი წარმომადგენლის მიერ ხელის მოწერის შემდგომ.

2.5. შემსრულებელი იძლევა გარანტიას შესრულებულ სამუშაოზე 365 კალენდარული დღის ვადით.

2.6. ყველა სამუშაო სრულდება ხარჯთაღრიცხვისა (დანართი #1) და არქიტექტურული პროექტების (დანართები #2.1 და #2.2) მიხედვით (ხარჯთაღრიცხვა და პროექტები თან ერთვის ხელშეკრულებას).

### მუხლი 3. მხარეთა ვალდებულებები

3.1. „შემსრულებელი“ ვალდებულია:

3.1.1. შეასრულოს მე-2 პუნქტში მითითებული სამუშაოები წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებულ ვადაში სათანადო ხარისხით.

3.1.2. შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება 45 კალენდარული დღის ვადაში.

3.1.3. შეასრულოს ყველა სამუშაო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და სამშენებლო ნორმების დაცვით.

3.1.4. შეასრულოს სამუშაო წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და ჩააბაროს შესრულებული სამუშაო „შემსყიდველს“ შეთანხმებული ხარისხით შესრულებული უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლოდ;

3.1.5. სამუშაოების შესრულებისას დაიცვას უსაფრთხოების და გარემოს დაცვის წესები მოქმედი კანონმდებლობის და ამ ხელშეკრულების შესაბამისად.

3.1.6. დაუყოვნებლივ შეატყობინოს „შემსყიდველს“ იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც აბრკოლებენ ხელშეკრულების 2.1. პუნქტით განსაზღვრული სამუშაოების მიმდინარეობას ან/და შეუძლებელს ხდიან მათ შემდგომ გაგრძელებას;

3.1.7. დაიქირავოს პერსონალი, რომელსაც წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესასრულებლად გააჩნია სათანადო ცოდნა და კვალიფიკაცია.

3.1.8. წარმოადგინოს მის მიერ სამუშაოს შესრულებისას გამოყენებული მასალების ხარისხისა და უსაფრთხოების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.

3.2. „შემსრულებელი“ უფლებამოსილია:

3.2.1. ჩააბაროს „შემსყიდველს“ შესრულებული სამუშაო წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაზე ადრე.

3.3. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

3.3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით, პირობებით, ოდენობითა და ვადებში მოახდინოს ანგარიშსწორება „შემსრულებელთან“;

3.3.2. სამუშაოს დასრულების შესახებ „შემსრულებლისაგან“ შეტყობინების მიღებიდან 3 (სამი) დღის ვადაში დაათვალიეროს და მიიღოს შესრულებული სამუშაო, ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან სამუშაოს სხვა ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსრულებელს“;

3.3.3 შეუქმნას „შემსრულებელს“ ყველა პირობა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ნორმალურად წარმართვის მიზნით, კერძოდ:

ა) მოამზადოს ობიექტი სამუშაოების დასაწყებად მოცემული ვადების გათვალისწინებით;

ბ) უზრუნველყოს ობიექტის შეუფერხებელი მომარაგება წყლით, ელექტროენერგიით,

3.3.4. წინამდებარე ხელშეკრულების 3.3.3. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „შემსრულებელი“ არ აგებს პასუხს შესრულებული სამუშაოს ხარისხზე და შესრულების ვადებზე;

3.3.5. პირადად ან სათანადოდ უფლებამოსილი პირის მეშვეობით მიიღოს შესრულებული სამუშაო, როგორც ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, ისე გათვალისწინებულ ვადაზე ადრე.

3.4. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

3.4.1. ნებისმიერ დროს შეამოწმოს შემსრულებლის მიერ შესრულებული სამუშაოს მიმდინარეობა და ხარისხი მის საქმიანობაში ჩარევის გარეშე;

3.4.2 განახორციელოს ინსპექტირება გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების წესების დაცვასთან დაკავშირებით და შეუსაბამობის შემთხვევაში მიუთითოს „შემსრულებელს“ შეუსაბამობის შესახებ. „შემსრულებელი“ ვალდებულია დაუყოვნებლივ აღმოფხვრას შეუსაბამობა.

#### **მუხლი 4. გარემოსა და სოციალური უსაფრთხოების დაცვის სავალდებულო პირობები:**

4.1. შემსყიდველის ვალდებულებები:

4.1.1. უსაფრთხოების წესების ტრენინგის ჩატარება;

4.1.2. შრომის უსაფრთხოების გეგმის მომზადება;

4.1.3. ნარჩენების მართვის ტრენინგის ჩატარება;

4.1.4. ტერიტორიაზე საჩივრების ყუთის განთავსება.

4.2. შემსრულებლის ვალდებულებები:

4.2.1. სამშენებლო მოედანზე დასაქმებული პირების პირადი უსაფრთხოების საშუალებებით აღჭურვა (ჩაფხუტი, ხელთათმანი, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი);

4.2.2. სამშენებლო მოედანზე ცეცხლმაქრებისა და პირველადი დახმარების ნაკრების განთავსება;

4.2.3. სამშენებლო ნარჩენების დასაწყობებისათვის სპეციალური ადგილის მოწყობა. სახიფათო და საყოფაცხოვრბო ნარჩენების სეპარირება ცალ-ცალკე ურნებში;

4.2.4. საშიში და სამშენებლო ნარჩენების გატანა და უტილიზაცია შესაბამისი ლიცენზიის მქონე ორგანიზაციის მიერ და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა;

4.2.5. საჭიროების შემთხვევაში ბეტონის საზელი მანქანიდან გამორეცხილი ნარჩენების შესანახი ადგილის მოწყობა;

4.2.6. ნარჩენების გატანის შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია დაიცვას გარემო ტრანსპორტირებისას ნარჩენებით დაბინძურებისაგან, კერძოდ უზრუნველყოს ნარჩენების შეფუთვა/დაფარვა სათანადო წესით;

4.2.7. მშენებლობის პერიოდში, სამშენებლო მოედანთან მისასვლელ გზაზე სიჩქარის შემზღვეველი ნიშნების განლაგება;

4.2.8. სამშენებლო მოედანზე მუდმივად უნდა იყოს უსაფრთხოებასა და ჯანმთელობაზე პასუხისმგებელი პირი.

#### **მუხლი 5. სამუშაოების მიღება და დეფექტები**

5.1. სამუშაოები დასრულებულად ითვლება მხარეების მიერ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

5.2. ობიექტის მიღებისას ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად, გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „შემსრულებელი“ არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში.

#### **მუხლი 6. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი**

6.1. „შემსყიდველი“ უნაზღაურებს „შემსრულებელს“ მოწოდებული „საქონლისა“ და შესრულებული სამუშაოებისთვის ----- აშშ დოლარის ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში იმ დროისათვის არსებული ეროვნული ბანკის ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3. ყოველი შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან განხორციელდება შესრულებული სამუშაოს ღირებულების 2.5%-ის დაკავება სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად. შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან დაკავებული თანხის 2.5%-ის დაქვითვა განხორციელდება საგარანტიო ვადის (საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული სამუშაოთა დასრულების თარიღიდან 365 კალენდარული დღე) დასრულებისა და საგარანტიო პერიოდში დეფექტების არარსებობის შესახებ შესაბამისი აქტის საფუძველზე.

6.4. შემსრულებლის მხრიდან წინასწარი ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველი განახორციელებს წინასწარ ანგარიშსწორებას შემსრულებელთან ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 25%-ისა, შემსრულებლის მიერ იმავე ოდენობის თანხაზე საავანსო საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ.

6.5. შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი საავანსო საბანკო გარანტია 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

#### **მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა**

7.1. „შემსრულებელი“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის „შემსყიდველის“ სასარგებლოდ იხდის პირგასამტეხლოს მთლიანი ღირებულების 0,2%-ის (ნული მთელი ორი მეათედი პროცენტის) ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.2. „შემსყიდველის“ პასუხს არ აგებს იმ ზიანისთვის, რომელიც შეიძლება მიადგეთ „შემსრულებლის“ მუშაკებს მათ მიერ განხორციელებული სამუშაოთა წარმოების დროს. იმ შემთხვევაში თუ „შემსრულებელი“ ვერ შეასრულებს სამუშაოებს გრაფიკის მიხედვით „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება.

#### **მუხლი 8. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და შეწყვეტა**

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

8.2. ხელშეკრულება ვადის ამოწურვამდე შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

8.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა შესაძლებელია წინამდებარე ხელშეკრულების მხარეთა დამატებითი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

8.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი სათანადოდ გაფორმებული და ხელმოწერით დადასტურებული ცვლილება ან დამატება ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

8.5. წინამდებარე ხელშეკრულების დანართები ან/და ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი ერთვის ხელშეკრულებას და განიხილებიან ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილებად.

8.6. „შემსყიდველის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელშეკრულების ფასის გადახდის პირობების დარღვევის და ვადების 10 (ათი) კალენდარული დღით გადაცილების შემთხვევაში, შემსრულებელი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოები თანხის მიღებამდე.

**მუხლი 9. ფორსმაჟორი**

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების შემთხვევაში, ფორსმაჟორი და ფორსმაჟორული მოვლენა რომელიმე მხარისათვის ნიშნავს ისეთ მოვლენას ან გარემოებას, რომელსაც მოცემული მხარე სათანადოდ ვერ აკონტროლებს, რომლის თავიდან აცილება, შეჩერება ან გამოსწორება არ ხერხდება, მიუხედავად მოცემული მხარის ძალისხმევისა (შესაძლებლობის ფარგლებში) და რომლის შედეგადაც ან რომლის გამოც, რომელიმე მხარე დროებით ვერ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

9.2. მხარე, რომელიც აღმოჩნდა ფორსმაჟორული პირობების მოქმედების სფეროში, ვალდებულია პირველივე შესაძლებლობისთანავე წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს.

9.3. არც ერთ მხარეს არ მოეთხოვება ხელშეკრულების შესრულება და არ ჩაეთვლება ვალდებულების შეუსრულებლობად, თუ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზი ფორსმაჟორული მოვლენაა. ფორსმაჟორული გარემოებების ლიკვიდაცია, რაც შესაძლებელს ხდის წინამდებარე ხელშეკრულებების შესრულებას, განაახლებს წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ მხარეთა უფლებამ-ოვალეობებს და იწვევს მისი სრულად შესრულების ვალდებულებას.

9.4. ფორსმაჟორული პირობების დამთავრებისთანავე, მხარე, რომელიც აღმოჩნდა ამ პირობების მოქმედების სფეროში, ვალდებულია პირველივე შესაძლებლობისთანავე აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს.

**მუხლი 10. დავების გადაწყვეტა**

10.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით;

10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით.

**მუხლი 11. დასკვნითი დებულებები**

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების ყველა პუნქტი მათთვის გასაგები და მისაღებია, რასაც ადასტურებენ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი რჩება “შემსრულებელთან”, ხოლო ორი ეგზემპლარი გადაეცემა „შემსრულებელს”.

11.3. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ან/და პუნქტის მთლიანად ან/და ნაწილობრივ შეცვლა, არ იწვევს ხელშეკრულების სხვა მუხლებისა და პუნქტების ბათილობას.

**მუხლი 12. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

შემსრულებელი	შემსყიდველი
შპს -----	ა(ა)იპ “საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი”.
მისამართი: -----	მისამართი: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი #240
ბანკი: -----	ბანკი: სს”ლიბერთი ბანკის” ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: -----	ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა -----	ა/ა GE56LB0121134383911027
----- ----- დირექტორი	ვახტანგ ლეჟავა ----- უნივერსიტეტის რექტორი